ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 17 ივლისის სხდომის

ოქმი N 10

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 17 ივლისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 21. კვორუმი შედგა. საბჭოს თავმჯდომარის თბილისში არყოფნის გამო ამ სხდომისთვის საჭირო გახდა თავმჯდომარის არჩევა. საბჭოს წევრებმა დაასახელეს პროფესორ ომარ მუკბანიანის კანდიდატურა, რომელიც ერთხმად აირჩიეს 17 ივლისის სხდომის თავმჯდომარედ.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. დოქტორანტურის საფეხურზე დაცვის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - დოქტორანტურის საფეხურზე დაცვის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ა) პროფესორმა ო.მუკბანიანმა სიტყვა გადასცა ქიმიის დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოს (რომელიც 8 მაისამდე არსებობდა) მდივანს მ.რუხაძეს. მან ისაუბრა ქიმიის დეპარტამენტის სამი დოქტორანტის დისერტაციის დაცვის პროცედურების საკითხზე. კერძოდ,

1. დოქტორანტ გურანდა ავქოფაშვილისთვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დანიშვნის შესახებ. დოქტორანტს გავლილი აქვს ყველა სავალდებულო პროცედურა: წინასწარი მოსმენა, აქვს შემფასებლების რეცენზიები, დაცვის თარიღი სასურველია იყოს 27 ივლისი 2018 წელი;
2. დოქტორანტ რუსუდან კაკავასთვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დანიშვნის შესახებ. დოქტორანტს გავლილი აქვს ყველა სავალდებულო პროცედურა: წინასწარი მოსმენა, აქვს შემფასებლების რეცენზიები, დაცვის თარიღი სასურველია იყოს 12 ოქტომბერი 2018 წელი;
3. დოქტორანტმა მანონი კურტანიძემ, რომელიც ამჟამად მე-10 სემესტრის დოქტორანტია წარმოადგინა დისერტაცია და განცხადებით მიმართა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მისი ნაშრომის დაცვაზე დასაშვები პროცედურების დასაწყებად.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაინტერესდა ამ საკითხით, გაარკვია და ყველაფერი, რაც 8 მაისამდე იყო მიღებული ლეგიტიმური სადისერტაციო საბჭოს მიერ, ძალაშია და დასაზუსტებელია მხოლოდ დაცვის თარიღი. ამ საკითხზეც მითითებულია, რომ დეკანთან შეთანხმებით უნდა გადაწყდეს. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა გ.ღვედაშვილმა და დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან აღნიშნა, რომ დაცვის თარიღი - 27 ივლისი - ძალიან ადრეა, რადგან 25 ივლისს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დამტკიცებაა დაგეგმილი. ამაზე ქ-მქ

მ.რუხაძემ უპასუხა, რომ დისერტაციის დაცვა შეიძლება დაიგეგმოს სექტემბერში, სადისერტაციო საბჭოს პირველსავე სხდომაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დეკანის მოადგილეს, ასოცირებულ პროფესორს თ.ჭელიძეს.

ბ) ქ-მა თამარმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სადოქტორო პროგრამა „ფიზიკის" დოქტორანტის თამარ ნოზაძის (ხელმძღვანელები ემერიტუს პროფესორი რევაზ ზარიძე, ფიზიკის დოქტორი ვერიკო ჯელაძე) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია, რომელიც შერჩეულ იქნა 2018 წლის 30 აპრილის ფიზიკის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე და გააცნო მისი შემადგენლობა (იხ. დანართი 3). ხოლო დისერტაციის დაცვის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 10 ოქტომბერი.

გ) ქ-მა თამარმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად ასევე წარუდგინა სადოქტორო პროგრამა „გეოგრაფიიის" დოქტორანტის თამარ ხარძიანის (ხელმძღვანელი პროფესორი ზურაბ სეფერთელაძე) სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო შემფასებლები პროფესორი დალი ნიკოლაიშვილი და ასოცირებული პროფესორი შამილ შეთეკაური.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ქიმიის დეპარტამენტის დოქტორანტების გურანდა ავქოფაშვილის, რუსუდან კაკავასა და მანონი კურტანიძის დისერტაციის დაცვის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხებს, სადოქტორო პროგრამა „ფიზიკის" დოქტორანტის თამარ ნოზაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და დისერტაციის დაცვის თარიღის დამტკიცების საკითხს, ასევე სადოქტორო პროგრამა „გეოგრაფიიის" დოქტორანტის თამარ ხარძიანის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების საკითხს.

ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ა) ქიმიის დეპარტამენტის დოქტორანტების გურანდა ავქოფაშვილის, რუსუდან კაკავასა და მანონი კურტანიძის დისერტაციის დაცვის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ლეგიტიმაცია გადაეცეს ქიმიის დეპარტამენტს.

ბ) დოქტორანტ თამარ ნოზაძეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად დამტკიცდეს 2018 წლის 10 ოქტომბერი, ხოლო დაცვის კომისია დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:

1. თსუ პროფესორი არჩილ უგულავა (თავმჯდომარე);
2. თსუ ასოცირებული პროფესორი ამირან ბიბილაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე);
3. თსუ ასოცირებული პროფესორი ოლეგ ხარშილაძე (მდივანი);
4. თსუ ასოცირებული პროფესორი რევაზ შანიძე;
5. ახალციხის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვასილ ტაბატაძე;
6. ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი იური პაპავა;
7. სტუ პროფესორი ქეთევან კოტეტიშვილი;
8. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი კახაბერ თავზარაშვილი;
9. სტუ პროფესორი ფაიკ ბოგდანოვი.

გ) დოქტორანტ თამარ ხარძიანის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად შეირჩეს პროფესორი დალი ნიკოლაიშვილი და ასოცირებული პროფესორი შამილ შეთეკაური.

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში შესატანი ცვლილებების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ასოცირებულმა პროფესორმა გ.ქუთელიამ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გენეტიკის მოდულში შესატანი ცვლილებები.

პროფესორმა ო.მუკბანიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილებები.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შევიდეს შემდეგი ცვლილებები ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში:

- პროგრამის გენეტიკის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსს „საწარმოო და კლინიკური ტრანსფუზოლოგია“ მოწვეული პედაგოგის ნაცვლად წაიკითხავს გენეტიკის კათედრის ასისტენტ პროფესორი მაია გაიოზიშვილი. დამტკიცდეს მის მიერ განახლებული სილაბუსი;
- გენეტიკის მოდულის სპეციფიკიდან და თანამედროვეობის გამოწვევებიდან გამომდინარე მოდულს დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსი „რადიაციული გენეტიკა“, რომელსაც წაიყვანს გენეტიკის კათედრის ლაბორატორიის თანამშრომელი. აღნიშნული კურსის გააქტიურების სანაცვლოდ არ გააქტიურდეს გენეტიკის მოდულის არჩევითი კურსი „ფსიქოგენეტიკა“, რომელიც იკითხება მოწვეული პედაგოგის მიერ.

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. აქ განსახილველად გამოტანილი იყო:

   ა) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული კონდენსირებული გარემოს ფიზიკისა და პერსპექტიულ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ა.შენგელაიას განცხადება (იხ. დანართი 1) დანართში ჩამოთვლილი თანამშრომლების მითითებულ თანამდებობებზე ერთი წლის ვადით დანიშვნის შესახებ (ანაზღაურების გარეშე).

   ბ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ თ.მძინარიშვილის განცხადება (იხ. დანართი 2) დანართში ჩამოთვლილი თანამშრომლების მითითებულ თანამდებობებზე ერთი წლის ვადით დანიშვნის შესახებ (ანაზღაურების გარეშე).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ ადმინისტრაციის წინაშე, რათა

   ა) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული კონდენსირებული გარემოს ფიზიკისა და პერსპექტიულ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ა.შენგელაიას განცხადების (იხ. დანართი 1) დანართში ჩამოთვლილი თანამშრომლები დაინიშნონ მითითებულ თანამდებობებზე ერთი წლის ვადით ანაზღაურების გარეშე.

   ბ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ თ.მძინარიშვილის განცხადების (იხ. დანართი 2)

დანართში ჩამოთვლილი თანამშრომლები დაინიშნონ მითითებულ თანამდებობებზე ერთი წლის ვადით ანაზღაურების გარეშე.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი ომარ მუკბანიანი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი